ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №517442

ნომერი: AR1105033

თარიღი : 24.01.2013

გაცემის თარიღი : 25.01.2013

გაცნობის თარიღი : 25.01.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვი , N 25ა , (ნაკვეთი 07/038) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლაშა გოგაძე პ/ნ 60002007121
- მუხიანის II მ/რ; კორპ.II

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- კოეფიციენტის განსაზღვრა

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისადა სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის05 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის“ თანახმად

გადაწყვეტილება

დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის შესაბამისად ტერიტორია (საკად. კოდი #01.17.11.007.038) მოქცეულია სამრეწველო ზონა 1 (ს–1);

სამრეწველო ზონა 1 (ს-1): ა) სამრეწველო ზონა, სადაც განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები;

ბ) შესაძლებელია სამრეწველო ზონა 1 (ს-1)-ის ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი საზოგადოებრივი შენობების/სამყოფების არსებობა კანონმდებლობის შესაბამისად.

შენობა–ნაგებობის კომპლექსის დაპროექტების შემთხვევაში, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე, მისი ფართობიდან გამომდინარე უნდა დამუშავდეს განაშენიანების რეგულირების პროექტი, რომლის შესაბამისადაც მოხდება აღნიშნული ტერიტორიის სამშენებლო განვითარება;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.